ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4407716

ნომერი: AR1665326

თარიღი : 03.03.2019

გაცემის თარიღი : 11.03.2019

გაცნობის თარიღი : 12.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 245521
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.03.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილათქვენს მიერწარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები. -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : მიუთითეთ მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები. თქვენს მიერ მითითებულია შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. (2494149)

2 .მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები. -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : მიუთითეთ 21/03/2016

3. საჭიროა წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დარღვევებში ფიქსირდება, რომ აივნების ნაცვლად მოწყობილია ტერასა. თუ ამან გამოიწვია ინდივიდუალური ფართების ცვლილება. განმარტეთ, შეიცვალა თუ არა საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ფართები (გაიზარდა ან შემცირდა) და თუ შეიცვალა, მიეთითეთ ყველა ასეთი ფართის წილობრივი საკადასტრო კოდი და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრეების, მომავალი მესაკუთრეებისა და იპოთეკარების მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები

4. 1) 4,2 ნიშნულზე ,,1-2" და ,,5-6" მონაკვეთში მოწყობილი ტერასით ,,ბ-ა" და ,,ა-ბ" მონაკვეთში დარღვეულია დადგენილი სამშენებლო ნორმები. წარმოადგინეთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა ან პროექტი მოიყვანეთ შესაბამისობაში დადგენილ სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში.

2) ვინაიდან შეცვლილია შშმპ პანდუსის ფორმა წარმოაგდინეთ მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული ანაზომი და დაიცავით დადგენილი ნორმები.

3) შესაღებია ფასადის ნაწილები,მოსაპირკეთებელია აივნის შუბლები და შესავსებია ვიტრაჟის ძირები. პირველი სართული ქვით მოპირკეთების ნაცვლად შელესილი და შეღებილია.

4) -3.00 ნიშნულზე შემცირებულია საავტომოდილო პანდუსის გაბარიტები და დახრის პროცენტი (20%) წარმოადგინეთ მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული ანაზომი და დაიცავით დადგენილი ნორმები. ,,გ-გ" ღერძზე სადარბაზოში გაუქმებულია შუალედური კედელი კარებით, ანუ გაუქმებულია ტამბური.

5) დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

6) ,,დ-ა" ფასადის მხარეს საყრდენი კედლის ნაწილი სცდება საკასასტრო საზღვარს.

დაიცავით დადგენილი სამშენებლო ნორმები, დაასრულეთ სამშენებლო სამუშაოები, ობიექტი ფასადის მოპირკეთების ნაწილში მოიყვანეთ შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში (ფასადის მოპირკეთების ლესვით ჩანაცვლება მიუღებელია), დაიცავით დადგენილი ნორმები სამანქანო და შშმპ პანდუსების ნაწილში, ავტოფარეხის სართულზე კიბის უჯრედი საჭიროა დანარჩენი სივრცისგან გამოიყოს მცირე სათავსებით (მაგ. ტამბური; კორიდორი). სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, დაასრულეთ ტერიტორიის კეთილმოწყობა და დაიცავით საკადასტრო საზღვრები. დადგენილი დარღვევების გამოსწორების შემთხვევაში წარმოადგინეთ მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.